ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 26 აპრილის №24.242311623 ბრძანებით დამტკიცებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის

სხდომის ოქმი N7

ზუგდიდი, 23 ივნისი 2023 წელი

სხდომის ადგილი: ზუგდიდის ტექნოპარკი. სხდომის დაწყების დრო 10:00 საათი.

დღის წესრიგი

1. ანი კვარაცხელიას საკითხის განხილვა

განსახილველად შემოგვაქვს ზუგდიდი, ალექსანდრე გრიბოედოვის ქ.N30-ში მცხოვრები ანი კვარაცხელიას განცხადებები (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N:19/242315761-24,19/2423167146-24), ანი არის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი. მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით მიწვეულია ერთვიან სტაჟირებაზე მადრიდში, ტალავერას საავადმყოფოში. ანი ითხოვს მგზავრობისთვის ფინანსურ ხელშეწყობას. **არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა; მუხლი 7.**

2. ანა ხასიას საკითხის განხილვა

განსახილველად შემოგვაქვს ზუგდიდი, თავისუფლების ქ.N172-ში მცხოვრები ანა ხასიას განცხადებები (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N:19/24231639-24, N:19/242317094-24), ანა არის ბრემენის უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტის, მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი. ანა ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას. **ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა; მუხლი 6.**

3. ნინო ლომაიას საკითხის განხილვა

განსახილველად შემოგვაქვს ზუგდიდი, თბილისის ქ.N2 -ში მცხოვრები ნინო ლომაიას მშობლის ნანა შამუგიას განცხადებები (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N:19/2423167121-24, 2423170122-24), ნინო მიწვეულია ა.შ.შ ქალაქ ლას-ვეგასის საერთაშორისო ხელოვნების კონკურს-ფესტივალზე „ოქროს ოცნება". ნინო ითხოვს მგზავრობისთვის ფინანსურ ხელშეწყობას. **არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა; მუხლი 7.**

4. ნია წურწუმიას საკითხის განხილვა

განსახილველად შემოგვაქვს (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N:19/2423167136-24, 2423170114-24), ნია მიწვეულია ა.შ.შ ქალაქ ლას-ვეგასის საერთაშორისო ხელოვნების კონკურს-ფესტივალზე „ოქროს ოცნება". ნია ითხოვს მგზავრობისთვის ფინანსურ ხელშეწყობას. **არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა; მუხლი 7.**

5. ანანო ჯაბუას საკითხის განხილვა

განსახილველად შემოგვაქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ანანო ჯაბუას მშობლის თეთრიკო ჯანაშიას განცხადებები (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N:19/2423167131-24, 2423170118-24), ანანო მიწვეულია ა.შ.შ ქალაქ ლას-ვეგასის საერთაშორისო ხელოვნების კონკურს-ფესტივალზე „ოქროს ოცნება". ანანო ითხოვს მგზავრობისთვის ფინანსურ ხელშეწყობას. **არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა; მუხლი 7.**

სხდომის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის მდივანი:

ბელა ხუბუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის წევრი- კომისიის მდივანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **იდა ქვარაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- **ზამირა ღადუა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
- **კობა ჯიქია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

• **ზაზა გაბისონია-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

• **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

• **ნინო სიჭინავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

• **ნათია ფიფია** - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი - კომისიის წევრი.

• **ია ეხვაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.

• **მაგდალინა თოდუა-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის -ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;

• **მამუკა ბულია** - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრლებელი-კომისიის წევრი;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხიები.

პირველ საკითხად მოისმინეს: ზუგდიდი, ალექსანდრე გრიბოედოვის ქ.N30-ში მცხოვრები ანი კვარაცხელიას განცხადებები. ანა ითხოვს მგზავრობისთვის ფინანსურ ხელშეწყობას.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- ეს კომისია ნიჭიერ ახალგაზრდებს მუდმივად უჭერს მხარს და ანიც ერთერთი მათგანია, რომელიც იმსახურებს ჩვენს მხრდაჭერას. ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდასთვის მცირედი ხელშეწყობაც მნიშვნელოვანია მათი პროფესიული ზრდისთვის.

მაგდალინა თოდუა- ჩემთვის დიდი პატივია ვიყო ამ კომისიის რიგითი წევრი. გავეცანი განცხადებებს და ვფიქრობ, რომ ყველას აქვს შესაძლებლობა წარმოაჩინოს საკუთარი

განსაკუთრებული შესაძლებლობა და გაზარდოს მოტივაცია შემდგომი წარმატებების მისაღწევად. მხარს ვუჭერ წარმოდგენილი განცხადებების ავტორების მოთხოვნას ფინანსური ხელშეწყობის შესახებ.

მეორე საკითხად მოისმინეს: ზუგდიდი, თავისუფლების ქ.N172-ში მცხოვრები ანა ხასიას განცხადებები. ანა ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

გიგლა სულამანიძე- ანა ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდაა. მხარს ვუჭერ მის პროფესიულ განვითრებას.

მესამე საკითხად მოისმინეს: ზუგდიდი, თბილისის ქ.N2 -ში მცხოვრები ნინო ლომაიას მშობლის ნანა შამუგიას განცხადებები. ნანა ითხოვს შვილის ნინო ლომაიას ფინანსურ ხელშეწყობას.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

ნათია ფიფია- ნია ჩვენი სკოლის ნიჭიერი და წარმატებული გოგონაა. მჯერა რომ ა.შ.შ ქალაქ ლას-ვეგასის საერთაშორისო ხელოვნების კონკურს-ფესტივალზე „ოქროს ოცნება“ ასახელებს ჩვენს ქვეყანას და ქალაქს. ასევე ნიას მეგობრებს ვუსურვებ წარმატებულ გამოსვლას.

ზამირა ღადუა- ეს არის კომისია, რომელიც მუდამ დადებითი ენერგიით გვავსებს. ჩვენი ახალგაზრდების ნამღერი აქ, ამ კომისიაზე არის დასტური იმისა თუ რამდენად კარგ საქმეს ვაკეთებს ჩვენი მომავალი თაობისთვის. დღევანდელმა კომისიამ შემიქმნა ამაღლებული განწყობა და მჯერა, რომ ეს გოგონები წარმატებით წარსდგებიან საერთაშორისო ხელოვნების კონკურს-ფესტივალზე.

მეოთხე საკითხად მოისმინეს: ზუგდიდი, ნიკოლოზ გოგოლის ქ.N23 -ში მცხოვრები ნია წურწუმიას განცხადებები. ნია ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

ნინო სიჭინავა- ნია და თავის მეგობრებს ვუსურვებ წარმატებულ გამოსვლას და მჯერა ასეც იქნება. მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა ჩემი მცირედი წვლილი შევიტანო ასეთი წარმატებული ახალგაზრდების წახალისებაში.

მეხუთე საკითხად მოისმინეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ანანო ჯაბუას მშობლის თეთრიკო ჯანაშიას განცხადებები. თეთრიკო ითხოვს შვილის ანანო ჯაბუას ფინანსურ ხელშეწყობას.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

იდა ქვარაია- ამ კომისიის გადაწყვეტილება, თითოეული ახალგაზრდის მოტივაციისა და წარმატებისკენ მიმართული ნაბიჯი, ქალაქის, ქვეყნის წარმატებული მომავლისკენ არის გადადგმული. დღევანდელ კომისიაზე წარმოდგენილი განცხადებები სხვადასხვა სფეროს მოიცავს და ყველა ეს ახალგაზრდა ძალიან წარმატებული და თავისი საქმის პროფესიონალი დაუბრუნდება ჩვენს ქვეყანას/ქალაქს.

კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად, გამოეყოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება ანა ხასიას **ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა მუხლი 6-ის** და ანი კვარაცხელია, ანანო ჯაბუას, ნია ლომაიას და ნია წურწუმიას **არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა მუხლი 7-ის შესაბამისად.**

გადაწყვეტილება:

1.ანი კვარაცხელიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1950 (ერთი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი.

2.ანა ხასიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარი.

3.ნია წურწუმიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 2000 (ორიათასი) ლარი.

4. ანანო ჯაბუას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 2000 (ორიათასი) ლარი.

5.ნინო ლამაიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 2000 (ორიათასი) ლარი.

სხდომა დახურულად გამოცხადდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

იდა ქვარაია

კომისიის წევრები:

ზამირა ღადუა

კობა ჯიქია

გიგლა სულამანიძე

მდივანი: ბელა ხუბუა

ნინო სიჭინავა

მაგდალინა თოდუა

ნათია ფიფია

ია ეხვაია

მონიკა შამათავა

ზაზა გაბისონია

მამუკა ბულია